№274 2013 წლის 12 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად:

1. განისაზღვროს საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი შემდეგი საჯარო მოსამსახურეები:

გაიოზ თალაკვაძე - საქართველოს მთავრობის კანცელარიის საფინანსო დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ლილუაშვილი - საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის უფროსი

სოფიო სიჭინავა - საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ლევან ერიქაშვილი - საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამსახურის უფროსი

მერაბ ჯაფარიძე - საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი

კახა ამირანიძე - საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საკადრო საკითხთა სამსახურის უფროსი.

2.საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ლევან ერიქაშვილი - საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამსახურის უფროსი.

3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს გაბრიელ წულაია - საქართველოს მთავრობის კანცელარიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ოპერტიული რეაგირების სამსახურის უფროსი.

4. ამ ბრძანებაში მითითებულმა საჯარო მოსამსახურეებმა უზრუნველყონ:

ა) მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილების პროექტის მომზადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით;

ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ყოველი წლის 5 დეკემბრამდე შესაბამისი ანგარიშის პროექტის მომზადება და მისი საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენა, შემდგომში ამ ანგარიშის საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტისათვის დადგენილი წესით წარდგენის მიზნით.

5. საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამსახურმა (ლევან ერიქაშვილი) და საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურმა (მერაბ ჯაფარიძე) თავიანთი უფლებამო-

სილების ფარგლებში უზრუნველყონ გასაცემი საჯარო ინფორმაციის შესაბამისი ასლების დადგენილი წესით დამოწმება.

6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2013 წლის 11 იანვრის N8 ბრძანება.

7. ბრძანების შესრულების კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

ირაკლი ღარიბაშვილი